



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

შპს-ის თვის მიმოხილვა

2024

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია

აპრილში წლიური ინფლაცია გასულ თვეებთან შედარებით გაიზარდა და 1.5% შეადგინა, თუმცა კვლავ მიზნობრივი, 3%-იანი, მაჩვენებლის ქვემოთ ნარჩუნდება. მარტთან შედარებით ფასებმა 0.3%-ით მოიმატა.


აპრილში ინფლაციის ზომიერი მატების მიზეზი სანავაგსა და ზოგიერთი სხვა პროდუქტებზე ფასების ზრდა და საბაზო ეფექტია. საქართველოში დაბალ ინფლაციას კვლავ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, საგარეო შოკების ეცაპობრივი მიღევა და ლარის გაცვლითი კურსის მყარი პოზიცია განაპირობებს.

თვის ინფლაცია 0.3% (ბნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 1.5% (ბნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აპრილში მარტთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი ბენზინის 3.1%-იანი გაძვირება იყო, რამაც ინფლაცია 0.1 პპ-ით გაზარდა. სხვა პროდუქტებიდან გამოსარჩევია სეზონური ფაქტორების გამო ვაშლის გაძვირება, რამაც თვის ინფლაცია ასევე 0.1 პპ-ით გაზარდა, ხოლო იმერული ყველის გაიაფებამ 0.3 პპ-ით შეამცირა.

წლიურ ძრილში აღსანიშნავია სურსათის 1.9%-ით გაიაფება, რის გამოც ინფლაცია 0.6 პპ-ით შემცირდა. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთის, პურის, კარტოფილის და ყველის ფასების კლება, რამაც ინფლაცია ჯამურად 1.2 პპ-ით შეამცირა. მეორე მხრივ, ბენზინის, საბანკო მომსახურებისა და ვაშლის გაძვირებამ ინფლაცია 1.6 პპ-ით გაზარდა.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 2.3%-ის დონეზეა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივი ინფლაცია მიზნობრივ 3%-თან ახლოს ნორმალიზდა. აპრილში ადგილობრივი ინფლაცია 2.5%-ს გაუტოლდა და მასში მთავარი წვლილი მომსახურების ფასების ცვლილებამ (2.9 პპ) შეიძინა. შერეული წარმოების კატეგორიის პროდუქტები ჯამში 1.9%-ით იაფია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამის მიზეზი გარკვეული სურსათისა და ელექტროენერჯის ცარიფის წლიური გაიაფებაა. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია 3.5%-მდე გაიზარდა, რისი მთავარი მიზეზიც სანავაგის გაძვირებაა.

მომსახურების ინფლაცია შედარებით მაღალ დონეზე ნარჩუნდება, აპრილში 5.6%-ს შეადგენდა. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში, როგორც ვთქვით, ადგილობრივ ინფლაციას აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მომსახურების გამოკლებით ადგილობრივ პროდუქტებზე დეფლაცია აღინიშნება. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში ყველაზე დიდი წვლილი საბანკო მომსახურების გაძვირებას აქვს (1.3 პპ).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	აპრ24/მარ24		აპრ24/აპრ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	1.5%	1.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	0.0%	0.0%	-1.4%	-0.5%
სურსათი	30.4%	0.1%	0.0%	-1.9%	-0.6%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-0.7%	0.0%	-7.6%	-0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.9%	0.1%	2.6%	0.2%
თევზი	0.4%	-1.0%	0.0%	0.8%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	-4.0%	-0.3%	-4.5%	-0.3%
ზეთი და ცხიმი	2.5%	0.0%	0.0%	-12.6%	-0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	10.9%	0.2%	37.9%	0.6%
ბოსტნეული, ბალახი, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	1.9%	0.1%	-7.9%	-0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	0.1%	0.0%	-1.5%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.7%	0.0%	2.4%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	-0.6%	0.0%	4.3%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.7%	0.0%	5.0%	0.3%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	2.8%	0.1%	-4.4%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.0%	0.0%	-1.9%	-0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	0.0%	0.0%	-1.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.1%	0.0%	0.3%	0.0%
ტრანსპორტი	12.0%	0.7%	0.1%	11.0%	1.2%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.1%	0.0%	-1.8%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	0.4%	0.0%	-2.7%	-0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	1.2%	0.0%	6.9%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.9%	0.0%	9.6%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	0.2%	0.2%	0.8%	0.5%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	0.7%	0.0%	-3.9%	-0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.2%	0.0%	-1.3%	-0.1%
მომსახურება	24.8%	0.4%	0.1%	5.6%	1.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


მარტში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.3 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 1,105.2 მლნ ლარით გაიზარდა) და 50.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 16.8%-ით გაიზარდა, მეტწილად ეროვნული ვალუდის დეპოზიტების მატების გავლენით. მარტში, წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 641.9 მლნ ლარით (2.5%-ით) გაიზარდა და 26.0 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 532.3 მლნ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 186.7 მლნ ლარით გაიზარდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარტში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 6.5% შეადგინა. ეროვნული ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 7.9%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 1.6%-ზე შენარჩუნდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 1.2 პპ-ით შემცირდა და 10.3% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 2.1%-ის დონეზეა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 1.0%-ს შეადგენს.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუდის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციამ 2024 წლის მარტში 49.7% შეადგინა. მარტის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პპ-ით 64.3%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 0.3 პპ-ით 38.8%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მარტში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით 60.6%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარტში, გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით, სესხები წლიურად 17.3%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება ეროვნული ვალუდით დაკრედიტების აჩქარებამ განაპირობა. კერძოდ, მარტში, ეროვნული ვალუდით დაკრედიტების ზრდის ტემპი 19.3%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 10.7 პპ-იანი წვლილი შეადგინა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით) წლიურად 14.9%-ით, 24.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.6 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების აჩქარება ბიზნესის ციკლის სესხების ზრდას უკავშირდება. თუმცა აღსანიშნავია, ლარის ბიზნესის სესხების მზარდი ტენდენციაც. ჯამურად, ბიზნესის სესხების წვლილი დაკრედიტების ზრდაში 10.4 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.0 პპ-ზე შეადგინა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით შემცირდა და 12.8% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 15.1%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.7%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 11.9%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი იგივე დონეზე 11.5%-ზე შენარჩუნდა. მარცში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 9.0%-ის დონეზეა. უცხოური ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით 7.2%-მდე გაიზარდა.


მარცში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 44.8%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით 64.0%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით 28.0%-მდე შემცირდა. მარცში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 79.9 მლნ ლარით გაიზარდა და 491.9 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 39.8% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამოჩენით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარემო სექტორი

2024 წლის მარცში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 25.3%-ით შემცირდა და 621.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაუმჯობესება იმპორტის შემცირებას უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 17.0%-ით 1,114.6 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტმა წლიურად 4.4%-ით შემცირდა და 522.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მარცხი 2024)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - მარცში საქონლის იმპორტი წლიურად 17.0%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის შემცირება უმეტესად სამომხმარებლოსა ხის საქონლის იმპორტის კლებამ განაპირობა. საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტი ზომიერად შემცირდა, ხოლო შუალედური სახის იმპორტმა კლება კვლავ გააგრძელა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის კლება უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ხორბლის ფეკილისა და შაქრის იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნავთობის აირების, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგაღისა და ქურჭლის სარეცხი მანქანების იმპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მნიშვნელოვანმა შემცირებამ შეიქმნა, თუმცა ამავე ჯგუფში გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე სამკურნალო საშუალებების და შერეული საქონლის ჯგუფების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და საცელეფონო აპარატების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში მნიშვნელოვან წილს იკავებს. საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე ტრაქტორებისა და საცელეფონო აპარატების გაყიდვების შემცირებამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში რეექსპორტისთვის განკუთვნილი საცვირთო ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადაამყვანი მანქანების იმპორტი წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთლიანობაში, მარცში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 16.2%-ით მოიმატა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაზე)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მალალი წვლილი შეიძლება აშშ-მ, რაც რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შემოტანის შემცირებას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან ახალი და გამხმარი თხილი-კაკლის იმპორტმა წლიურად მოიმატა. თურქეთიდან იმპორტის კლება მსუბუქი ავტომობილებისა და სიგარეტები-სიგარიტების, სომხეთიდან სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, აზერბაიჯანიდან ნავთობის აირების, ჩინეთიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სპეცდანიშნულების ავტომობილების ნაწილების, უკრაინიდან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო რუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ხორბლის ფქვილის შემცირებულმა იმპორტმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანიიდან და იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და სიგარეტები-სიგარიტების, ბრაზილიიდან შაქრის, ასევე ხორცისა და კვების სუბპროდუქტების ჯგუფების მნიშვნელოვანი კლება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ბულგარეთი და უზბეკეთი - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, პოლონეთიდან - 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, შვეიცარიიდან სამკურნალო საშუალებების, ხოლო ირანიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელების გაზრდილი შეყიდვების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


მარცხი იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობაირებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ მარცხი იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის მარცხთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მარტი 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 150	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 103	სამკურნალო საშუალებები, 50	
		საძველეთა აპარატები, 20	საძვირთა ავტომობილები, 17
		გამომთვლელი მანქანები, 13	სიგარეტი, სიგარეტები, 11 10 კაცზე მეტი დადამყვანი ავტომობილები, 10 მეტალოკონსტრუქციები, 11
ნავთობის აირები, 57			

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მარტი 2024)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - მარცხი საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 4.4%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური სახის საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, შემცირდა ასევე საინვესტიციო საქონლის ექსპორტი, ხოლო სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტმა მოიმატა. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (9.1 კპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიძინა. გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება. მარცხი, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების ექსპორტი მალალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა გაიზარდა. ამასთანავე, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა კვლავ მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა, ასევე ყურძნის ნაცურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და მინერალური და ქიმიური წყლების ექსპორტმა კვლავ მოიმატა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად კლება შეანელა. საინვესტიციო საქონლიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სხვადასხვა სამშენებლო ცეპნიკის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა დაიკლო, ხოლო საძვირთა ავტომობილებისა და სამაცივრე მოწყობილობების ექსპორტმა მოიმატა. მარცხი საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 0.7%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების კლებაში მაღალი წვლილი შეიძლება სომხეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად შემცირებულმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, თურქეთში შერეული საქონლისა და დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტი შემცირდა, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში რეზინის პნევმატური სალდეების ექსპორტი მომადებულია. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუსა და ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ლიეცუვაში გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, საფრანგეთში სპირტიანი სასმელების, იტალიაში ახალი და გამხმარი თხილის გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. კერძოდ, ყირგიზეთსა და ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო რუსეთში ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი გაიზარდა. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ნიდერლანდებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აშშ-ში ფეროშენადნობების, ხოლო შვეიცარიაში დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვების მატება. აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლოდროინდელი თვეების მსგავსად, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი გაიზარდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 72% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


მარტში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (35%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ყურძნის ნაცურალური ღვინოების, ფეროშენადნობებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (3.9 პპ მთლიან ცვლილებაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 13.6%-ით გაიზარდა. წინა თვეების მსგავსად, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდის დემპი ამჭერადაც შემცირდა. გარდა ამისა, ექსპორტის მოცულობაზე სპირტიან სასმელებზე, სამრეწველო დანიშნულების თამბაქოსა და სამკურნალო საშუალებებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (პარტი 2024, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 181	ყურძნის ღვინოები, 36	ფეროშენადნობები, 30	
	სპირტიანი სასმელები, 22	სპილენძის მადნები, 12	აზოტოვანი სასუქები, 12
		სამკურნალო საშუალებები, 11	მაისურები, თბილი კვარტები, 10

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (პარტი 2024)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - მარცში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 36.5%-ით დაიკლო და 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 3.8%-ით 29.3 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. მარცში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 74%-ით, 53 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (24.4%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორცაა ისრაელი და კანადა, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (12.5%-იანი და 38.1% -იანი მადება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** მარცში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 51.7%-ით და 32.2%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **მარცში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (41.5%), რუსეთი (19.0%) და აშშ (16.1%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სრულ ფულად გზავნილებაში (მარცში 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


მარცში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6558-დან 2.6818-მდე (0.98%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.8675-დან 2.9123-მდე (1.56%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6953 და 2.9063 შეადგინა. მარცში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7128 იყო, მინიმალური კი - 2.6570.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები დაახლოებით თანაბრად იყო გადახრილი.


მარცში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია დრამის, ევროს და რუბლის გამყარება, გაუფასურებას განაგრძობს თურქული ლირა; ასევე გაუფასურდა ლარიც, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (მარცხი 2024; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა როგორც წლიურ, ასევე თვის ქრილში. წლიურად, მარცში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 1.7%-ით, თვის ქრილში კი 1.1%-ით გაუფასურდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მარცთან შედარებით, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 10.4%-ით გამყარდა, თვის ქრილში გაუფასურება 0.4%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.


სავაჭრო პარტნიორთაგან მარცში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, აშშ-ში, უკრაინასა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (მარტი 2024)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 6¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 265.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 75.9 მლნ აშშ დოლარით მეტია, თუმცა წინა წლის მარცთან შედარებით - 69.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 28.5%-ით, ხოლო წლიურად 1.9%-ით გაიზარდა.

მარცში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (98.7%) და 2,988.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 68.4 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული, თუმცა თვის წრიულში ზრდა 368.4 მლნ აშშ დოლარია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 4.3% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წილი შეესაბამებოდა 127.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება შემცირებულია, თუმცა თვიურ წრილში - გაზრდილია. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მარტში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 32.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თუმცა თვიურ წრილში 178.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,529.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 35.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (ხოლო თვის წრილში 189.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,458.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შექმენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

მარტში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 18.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თუმცა თვიურ 5.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 40.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ -312 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა⁴



⁴გრაფიკა წარმოადგენს სიდიდებით ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმენას და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვას.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 30.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად მთავრობის სავალუტო ხარჯებისა (სესხების მომსახურება), რაც რეზერვების შემცირებას განაპირობებდა, რეზერვების მთლიანი მოცულობა გაზრდილია სებ-ის მიერ Bmatch-ით განხორციელებული სავალუტო შესყიდვების გამო.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.
4 გრაფიკა წარმოადგენს სიდიდებით ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმენას და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მარცხში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და მარცხის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


მარცხში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 295.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მარცხში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 100 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 220.4 მლნ ლარით გაიზარდა და 8,482.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 62.7%-ს კომერციული ბანკების, 23.4%-ს ეროვნული ბანკის, 10.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცხში სადებოზიციო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, მარცხში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.26 პპ-ით, 8.0%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.05 და 0.12 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 8.29% და 8.16%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთებიც შემცირდა 0.1, 0.3 და 0.3 პპ-ით, და შესაბამისად 8.15%, 7.98% და 8.00% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 1,799.7 მლნ ლარით გაიზარდა, (წლიურად 2,561.6 მლნ ლარით) 15,933.9 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (79.0%), რომლის მოცულობაც თვიურად 878.3 მლნ ლარით (7.5%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 921.4 მლნ ლარით (37.9%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 8.34% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.02 პპ-ით გაიზარდა და 3.37% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მარცში ფულადი ბაზრის რესურსის 49.2% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 49.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

მარცში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 111.5 მლნ ლარით (1.7%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 37.5 მლნ ლარით (0.6%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისცემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 92.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა მარცის განმავლობაში 127.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქცივები დაახლოებით 35.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. მარცში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 381.2 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,569.8 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 170.9 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 190.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 222.2 მლნ ლარით გაიზარდა. მარცში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, მარცში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 412.1 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,605.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


მარცში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვითრად 504.6 მლნ ლარით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 405.1 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

